პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

4 მაისი, ხუთშაბათი, 1989 წ. № 85 (10 004) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შოთა ჩოჩიშვილი ამარცხებს ანტონიო ინოკის

**ასეთი შეჯიბრებები იშვიათად ტარდება და მისი ხასიათი ყოველთვის სენსაციურია. საბჭოთა ათლეტები — ძირითადად მძიმე წონის ძიუდოისტები, თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეები ამ დღეებში იაპონიაში მიიწვიეს პროფესიონალ ფალავნებთან შესახვედრად. დელეგაციაში ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოისტი შოთა ჩოჩიშვილიც იყო.**

**29 აპრილს ჩვენ უკვე გაუწყეთ, რომ შოთა ჩოჩიშვილის შერკინება მსოფლიოში სახელგანთქმულ ანტონიო ინოკისთან გორელი ფალავნის გამარჯვებით დამთავრდა. სხვათა შორის, ინოკი — ორთაბრძოლის ეს უბადლო ოსტატი, ადრე მუჰამედ ალისაც შეხვედრია.**

„ლელოს" კორესპონდენტები გუშინ გაემგზავრნენ გორში, სადაც ისინი შეხვდნენ შოთა ჩოჩიშვილს. ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში დაწვრილებით მოგითხრობთ ამ სენსაციური ორთაბრძოლისა და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ.



შეხვედრის წინ. ქართველი ფალავნის წარდგენა!


შოთა ჩოჩიშვილმა მეტოქე შებოჭა და მტკივნეულ ილეთზე დაიჭირა. ახლა იგი მსაჯს შეჰყურებს, ცოტაც და არბიტრი აღიარებს, რომ ორთაბრძოლა ჩოჩიშვილმა მოიგო.


შოთა ჩოჩიშვილი გამარჯვების შემდეგ საბჭოთა დელეგაციასთან ერთად.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

## ოთხი ფინალისტი

**მოსკოვი.** დამთავრდა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე ეტაპი. ბოლო ორმა ტურმა გამოავლინა ფინალისტთა ოთხეული, რომელიც ჩემპიონატის მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებს.

გთავაზობთ ამ შეხვედრათა შედეგებს: „დინამო" (მოსკოვი)—„დინამო" (ალმა-ათა) 6:5, უნივერსიტეტი (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) 11:10, ცსკ ვმფ — „დინამო" (კიევი) 9:6, „დინამო" (ლვოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 12:6.

„დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი) 15:7, ცსკა ვმფ — „დინამო" (ლვოვი) 12:12, უნივერსიტეტი (მოსკოვი) — „დინამო" (ალმა-ათა) 9:9, „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 9:9.

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მ.) | 18 | 15 | 2 | 1 | 32 |
| ცსკ ვმფ | 18 | 12 | 3 | 3 | 27 |
| „დინამო" (ლ.) | 18, | 9 | 4 | 5 | 22 |
| უნივერსიტეტი (მ.) | 18 | 9 | 3 | 6 | 21 |
| „დინამო" (თბ.) | 18 | 8 | 4 | 6 | 20 |
| „დინ." (ალმა-ათა) | 18 | 8 | 3 | 7 | 19 |
| „დინამო" (კიევი) | 18 | 5 | 4 | 9 | 14 |
| „ტორპედო" (მ.) | 18 | 3 | 5 | 10 | 11 |

ამრიგად, ფინალისტთა ოთხეულში მოხვდნენ და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას განაგრძობენ მოსკოვის „დინამო" და ცსკ ვმფ, ლვოვის „დინამო" და მოსკოვის უნივერსიტეტი.

როგორც გაზეთი „სოვეტსკი სპორტი" იუწყება, შეჯიბრების ბოლო დღეს მაყურებლების თვალწინ მოხდა ჩხუბი თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელთა შორის. ეს ინციდენტი, რომელმაც საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია სერიოზული მსჯელობის საგანი გახდება.

მსაჯთა კოლეგიამ თავის საგანგებო სხდომაზე თბილისის „დინამოს" სამ წევრს — კახი კანდელაკს, დავით გვახარიას და გიორგი ზუმბულიძეს დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, მაგრამ ეს არის, ასე ვთქვათ, პირველი სასწრაფო ზომა. ახლა საკითხს უფრო დაწვრილებით განიხილავს წყალბურთელთა საკავშირო ფედერაცია.

## მსხვერპლთან დაკავშირებით

თბილისის საექიმო ფიზკულტურის № 1 დისპანსერის მთავარმა ექიმმა ო. ვირუბოვმა გუშინ ტელეფონით გვაცნობა, რომ სტიქიური უბედურებისგან დაზარალებული მთიანი აჭარის მოსახლეობის დახმარების ფონდში ჩასარიცხად ამ სამკურნალო დაწესებულების კოლექტივმა გაიღო ერთი დღის ხელფასი, რამაც შეადგინა 837 მანეთი.

მანამდე დისპანსერის თანამშრომლებმა 160 მანეთი ჩაუშვეს ყულაბაში, რომელიც 9 აპრილს თბილისში დაღუპული უდანაშაულო მსხვერპლის მემორიალის შექმნასთან დაკავშირებით იმ დღეებში დაიდგა რუსთაველის გამზირზე.

## „გფრ-ის თასი" ვახტანგ იაგორაშვილს

**ვარენდორფი** (გფრ). როგორც ვიუწყებოდით, დასავლეთ გერმანიის ამ ქალაქში ჩატარდა თანამედროვე ხუთჭიდელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი — „გფრ-ის თასი". მკითხველებმა უკვე იციან, რომ სამი სახეობის შემდეგ პირად ჩათვლაში დაწინაურებული იყო სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი თბილისელი ვახტანგ იაგორაშვილი. მან ლიდერობა ტურნირის ბოლომდე შეინარჩუნა, დააგროვა 5509 ქულა და პირველი ადგილი დაისაკუთრა. მეორე პრიზი უნგრელ ატილა კალნოკის ხვდა (5491 ქულა), მესამე — მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონს ანატოლი სტაროსტინს (5460 ქულა). შეჯიბრების ბოლო სახეობა — კონკური იტალიელმა რობერტო ბომტრენიმ მოიგო.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები განაწილდა ასე: 1. უნგრეთი — 21.294 ქულა, 2. სსრ კავშირი — 21.218 ქულა.

## გ. ტყემალაძე გამარჯვებულთა შორის

**როგორც** ცნობილია, მაისის ბოლოს უნგრეთში ჩატარდება რკინიგზელ ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. ამ შეჯიბრების წინ ზაპოროჟიეში მოეწყო „ლოკომოტივის" სპორტკლუბის მოჭიდავეთა შერჩევითი საკავშირო ტურნირი. გამარჯვებული სპორტსმენები მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას ავტომატურად იღებდნენ.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: ნ. ბახაევმა (გროზნო), ნ. ალექსეევმა, ვ. ვალგერმა (ორივე — კრასნოიარსკი), ა. ჩახკიევმა (გროზნო), რ. ალამიროვმა (ბაქო), მ. მალცაგოვმა (გროზნო), გ. ტყემალაძემ (თბილისი) და ო. ზინჩენკომ (დნეპროპეტროვსკი).

### წოდების მინიჭება

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**ავტოსამოდელო სპორტში** — კახა ძაგნიძეს (თბილისი, დოსაafi), ვლადიმერ გალუსტიანს (თბილისი, დოსაafi), ბექა მირიანაშვილს (თბილისი, შეიარაღებული ძალები), ლევან ბასილაიას (თბილისი, შეიარაღებული ძალები), ლაზარ რუბინშტეინს (ბათუმი, დოსაafi), ჰაკა სოზიაშვილს (თბილისი, დოსაafi).

## ლიდერის პირველი მარცხი

„ლელოს" წინა ნომერში ვწერდით, რომ რესპუბლიკის მოჭადრაკე ვაჟთა 49-ე ჩემპიონატის ფინიშზე ქომაგები საინტერესო ორთაბრძოლების მოწმენი გახდებოდნენ. ამის თქმის უფლებას ის გვაძლევდა, რომ სწორედ ფინიშზე უნდა გაერკვიათ ურთიერთობა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებს. ტურნირის ამ მონაკვეთში საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა თბილისელმა ოსტატმა თამაზ ტაბატაძემ, რომელმაც 3-დან 2,5 ქულა მოაგროვა, კიდევ ნახევარი ქულა გადადებული პარტიის დამთავრებისას მოიპოვა და ძალიან მიუახლოვდა ერთპიროვნულ ლიდერს, თანაქალაქელ ოსტატს გია ბალათუროვს.

რაც შეეხება ლიდერს, მართალია შეინარჩუნა ადგილი ცხრილის სათავეში, მაგრამ ახლა მას უფრო ახლოდან ესმის „მდევართა სუნთქვა" — ამ სამ ტურში ბალათუროვმა მხოლოდ ერთი ქულა აიღო.

მხოლოდ ქულას დასჯერდა თბილისელი საერთაშორისო ოსტატი იგორ ეფიმოვიც.

VIII-X ტურების ტექნიკური შედეგები: **VIII ტური:** ლობჟანიძე-ხეცურიანი 0,5:0,5, ეფიმოვი-მანაგაძე 0:1, სუპატაშვილი-ვალიევი 0,5:0,5, ტაბატაძე-არახამია 1:0, ქასოშვილი-იაშვილი 1:0, გადაიდო ბალათუროვ-სიჭინავას პარტია; **IX ტური:** იაშვილი-ლობჟანიძე 1:0, არახამია-ქასოშვილი 1:0, ვალიევი-ტაბატაძე 0,5:0,5, მანაგაძე-სუპატაშვილი 0,5:0,5, სიჭინავა-ეფიმოვი 1:0, ხეცურიანი-ბალათუროვი 1:0. **X ტური:** ლობჟანიძე-ბალათუროვი 0,5:0,5, ეფიმოვი-ხეცურიანი 1:0, სუპატაშვილი-სიჭინავა 0,5:0,5, ტაბატაძე-მანაგაძე 1:0, იაშვილი-არახამია 0,5:0,5, გადაიდო ქასოშვილ-ვალიევის შეხვედრა.

გადადებული პარტიების დამთავრებისას დაზავდნენ ქასოშვილი და სუპატაშვილი (V ტური), ლობჟანიძე და სიჭინავა (VI ტური), იაშვილი და ტაბატაძე (VII ტური), ბალათუროვი და სიჭინავა (VIII ტური), ქასოშვილი და ვალიევი (X ტური). VII ტურის გადადებულ პარტიაში ვალიევი დამარცხდა ეფიმოვთან.

10 ტურის შემდეგ გია ბალათუროვს 7 ქულა აქვს. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან თამაზ ტაბატაძე და ბესიკ ხეცურიანი. იგორ ეფიმოვმა 6 ქულა მოაგროვა. შემდეგ მოდიან ქეთევან არახამია — 5 ქულა, ციალა ქასოშვილი, რომან სიჭინავა, ნუკრი მანაგაძე და ხვიჩა სუპატაშვილი — 4,5-4,5, აკაკი იაშვილი — 4, დავით ლობჟანიძე, თემურ ვალიევი 3,5-3,5.

# ილუზიის მსხვრევა

## პასუხი, რომელიც კვლავ პასუხს მოითხოვს

### ანუ ერთი ცრუაღმსარებლური პასკვილის გამო

„თუმცა ერთსა ეთქვა, ტყუვილიმცა იყო. აწ ყოველთა ერთი ჩვენება უნახავთ, მართალ არს უცილოდ".

**სულხან-საბა ორბელიანი.**

**შეცდომის** პატიება შეიძლება, მით უფრო უნებლიე შეცდომისა. მაგრამ რა ითქმის ცდომილებათა მთელი ჯაჭვის თაობაზე, რომელთა საფუძველი განზრახ დამახინჯებული ფაქტებია, ილუზორული სინამდვილის შესაქმნელად მოხმობილი? სწორედ ამგვარი ქმედების თვალსაჩინო ნიმუშია ვლადიმერ საის პასკვილი „ილუზია და სინამდვილე", რომელიც გამოქვეყნდა „ლელოს" პირველი მარტის ნომერში.

საუწყებათაშორისო ოლიმპიური რეზერვების მომზადების ცენტრის უფროსი მწვრთნელი ვ. საი, სათანადო კომპეტენციის უქონლობასა და უპასუხისმგებლობაში სდებს ბრალს უმაღლესი სპორტული დაოსტატების №3 რესპუბლიკური სკოლის ხელმძღვანელობას, დაწესებულების კოლექტივს, თანაც სრულიად უმართებულოდ, საკითხის არსში ჯეროვანი წვდომის გარეშე. ვ. საი თითქოს „ფაქტებს" იშველიებს, მაგრამ ოპონენტს მხედველობიდან რჩება ის გარემოება, რომ მხოლოდ გულდასმით შემოწმებული სამხილია შეუვალი და ობიექტური განსჯის ღირსი. დამახინჯებული ფაქტებისადმი, მცდარი მონაცემებისადმი ერთგულება უფრო ავტორის სიკერპეს მოწმობს, ვიდრე სამხილისა. თუმცა პასკვილის თანამედროვე მემკვიდრე ამას როდი დაგიდევთ! იგი თავჩაღუნულდ გაიძახის, რომ „თავად ასე ფიქრობს", „ამგვარად თვლის" და არც ეჭვობს, საკითხისადმი სუბიექტივისტური მიდგომა როგორ გარდუვალად აშკარავდება მისივე აზროვნების სტილისტიკაში.

რა გაეწყობა! როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, „ურჩი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა". ურჩის ცხოვრების წესი მისივე ბუნების დარია. მას არავისი სწამს; ვერ ალიქვამს, თუმცა კარგად ხედავს; ვერ იგებს, თუმც ესმის, მაგრამ ბედს როდი ურიგდება, გამალებით მიიკვლევს გზას მისგანვე ახორხლილ ცდომილებათა გროვაში და საღ გონებას „გალმა შეედავეს" პრინციპით სდებს ბრალს ყველა ამქვეყნიურ სიავეში.

მაინც ვის უპირისპირდება ეგზომი ხელგაშლილობით „სპეციალისტად" აღიარებული ვ. საი? იგი ცდილობს იმ კოლექტივს მიუზღოს სამაგიერო, რომლის დაბეჯითებული მოთხოვნითაც რესპუბლიკის სპორტსახკომის ხელმძღვანელობამ ამ ორი თვის წინათ ჩამოაშორა საქართველოს მოცურავეთა ნაკრებს. ვ. საი მაინც არ ცხრება. საქმეში ჩახედულთათვის კარგად არის ცნობილი, თუ როგორი მონდომებითა და გრაფომანული გატაცებით თხზავს იგი ათობით მოხსენებით ბარათს, სხვადასხვა შინაარსისა და ფორმის „წერილებს", რომელთა უმრავლესობა ვნებს საერთო საქმეს, არაერთ ხელოვნურ დაბრკოლებას უქმნის რესპუბლიკაში ცურვის განვითარებას.

მაგრამ ვ. საი წარსულ დროებას მისტირის, მდულარე ცრემლებს ღვრის იმ ბედნიერ ხანაზე, როცა, თურმე „ცურვა და პრობლემები სინონიმებად არ ითვლებოდა". მსგავსი ზმანებანი ავტორს, ჩანს, მისთვის ეგზომ ძვირფასი ლუის კეროლის (და არა კეროლ-ალისის, როგორც თვითონ წერს) ნაწარმოებიდან გამოჰყვა, რომელსაც ეგზომ დასწაფებია ყრმობისას. და აი, მოწიფულობაში უკვე ჯ. როდარის გმირის მანტიით მოსილი პილიგრიმი განაგრძობს თავის ბედნავს მოგზაურობას სინამდვილისა და ილუზიის ზღვარზე და, როგორც მას ეჩვენება, ქვას ქვაზე არ ტოვებს ცრუთა ქვეყანაში. ახლად მოვლენილმა ჯელსომინომ, ბუნებრივია, არ იცოდეს, თუ რაოდენ რთული პრობლემების წინაშე იდგა ცურვა სწორედ წარსულში, უწინარესად, სათანადო სპორტული ბაზების უქონლობისა და, უბრალოდ, უმოქმედობის მიზეზით.

„რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს", ჯელსომინომ არ იცის, სპეციალისტმა უნდა იცოდეს, რომ აღნიშნული გარემოება დიდად უშლის ხელს ცურვის განვითარებას საქართველოში.

სამართლიანობის გამო უნდა აღინიშნოს, რომ ვ. საი ზოგჯერ ცდილობს თავიდან მოიშოროს იდეფიქსი და ობიექტური შემფასებლის პოზა მიიღოს. 1988 წლის სპორტულ მონაგარს წარსულ წლებთან შედარებით იგი წინწადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს, თუმცა იქვე ფაქტების მოყვარული ავტორი რატომღაც მორცხვად დუმს იმ მნიშვნელოვანი წარმატების შესახებ, რომ სწორედ შარშანდელი შედეგების მიხედვით საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატებად დასახელებულ იქნა ჩვენი რესპუბლიკის ექვსი სპორტსმენი (ო. ხვადაგიანი, ი. არტიომოვი, ვ. სტეპანოვი, ა. შჩუკინი, გ. ბახტაძე და თ. გუგუბერიძე). ნუთუ ამის შესახებ არაფერი იცოდა „სპეციალისტმა" ვ. საიმ? მავანსა და მავანს არცოდნა იქნებ არცოდვად მიაჩნდეს დღესაც, მაგრამ სპეციალისტს ასეთი შეცდომა განა მიეტევება? ვინ ვინ და მან კარგად უნდა უწყოდეს, თუ როგორ ვითარდება ურთიერთობა საბჭოთა კავშირისა და რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს შორის, არადა, მსგავსმა მიღწევებმა უკანასკნელ ხანს საგრძნობლად იმატა. თითქოს ყინული დაიძრა. თუმცა, როგორც ითქვა, გადაუწყვეტელი პრობლემები ჯერ კიდევ მრავლადაა. მათ შესახებ არაერთხელ სრული გულახდილობითა და პრინციპულობით ყოფილა დასმული საკითხი ზემდგომი ორგანოების წინაშე.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ვ. საი განგებ აკნინებს უმაღლესი დაოსტატების სკოლის მიღწევებს, რათა შეცდომაში შეიყვანოს მკითხველი. მისი უაპელაციო განცხადებით, ჭაბუკთა საკავშირო სპორტულ თამაშებზე საქართველოს ნაკრებს ჩასათვლელი ქულები მხოლოდ 8 მოცურავემ მოუტანა, მაშინ, როცა ამ შეჯიბრებაში ჩათვლა ორჯერ მეტმა — 16 კაცმა მიიღო, რომელთაც რესპუბლიკას 404 ქულა და 2 მედალი მოუპოვეს.

დეზინფორმაციას, სხვას ვერაფერს უწოდებ ვ. საის უპასუხისმგებლო განცხადებას, თითქოს 1987-1988 წლებში მხოლოდ 11 მოცურავემ გააუმჯობესა შედეგები და ისიც მათ ხარჯზე, ვინც საკავშირო ნაკრები გუნდის შეკრებაზე იყო გაწვეული. საით ისწრაფის ვ. საი, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. შედეგებზე მინიშნებით მას სურს როგორმე კიდევ უფრო დაბლა დასცეს უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის ავტორიტეტი, ეჭვი შეიტანოს სკოლის კოლექტივის კომპეტენტურობაში. ტყუილს მოკლე ფეხი აქვს, ხოლო ვ. საის სიცრუეს — უმოკლესი, ისევე როგორც, საზოგადოდ, ყოველ ცოცხალ ტყუილს, რომლისაც თვით მთქმელსაც კი არასოდეს სწამს, თუკი იგი ჭკუათმყოფელია. ვ. საის გასაგონად უნდა ითქვას, რომ საკავშირო ნაკრებში მხოლოდ სამი სპორტსმენი იყო მიწვეული (თავიანთ მწვრთნელებთან ერთად) და არა თერთმეტი. ნუთუ შესაძლებელია ვინმემ, ვ. საის გარდა, ასე სერიოზულად ამტკიცოს, რომ უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლაში ჩარიცხული 41 სპორტსმენისაგან მხოლოდ სამმა შეძლო საკუთარი შედეგის გაუმჯობესება, მაშინ, როცა, მარტო გასულ წელს სკოლაში 9 სპორტის ოსტატი მომზადდა, თავი რომ დავანებოთ მეორე ახალგაზრდულ საკავშირო თამაშებში მოპოვებულ შედეგებს?

ამ საქმიანობაში საკუთარ წვლილზე საუბრის ნაცვლად, ვ. საის ისევ მხატვრულობისაკენ, უკეთ, ხალხური სიმბოლიკისა და ფრაზეოლოგიზმისაკენ გაურბის კალამი. „მატრიოშკებსა" და „ჩინურ დახლზე" საუბარი მას უფრო ხელსაყრელად ეჩვენება, ვიდრე განიადაგებული ზრუნვა საქართველოს სპორტსახკომის დადგენილებათა განხორციელებისათვის. დაუძლეველი ეგოცენტრიზმი პასკვილის მიმდევარს, ჩანს, ისევ კერძობითი ხასიათის საქმიანობისაკენ — ჟურნალისტური კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებისაკენ მიაქანებს, თითქოს რესპუბლიკის საწყლოსნო სპორტის წინაშე დაგროვილი პრობლემები მისი პირადი საქმე არ იყოს. ვ. საის, ჩანს დაავიწყდა შარშანდელი საკავშირო პირველობა, როცა უმაღლესი სპორტული დაოსტატების №3 რესპუბლიკური სკოლის ერთბაშად სამმა წარმომადგენელმა (ა. შჩუკინი, ვ. სტეპანოვი, ა. კრიჟანოვსკი) შეასრულა სპორტის ოსტატობის ნორმატივი. ვ. საიმ უარი განაცხადა სათანადო დოკუმენტაციის გაფორმებაზე და სახტად დარჩენილ მწვრთნელებს ირონიით მიუგდო: «Да бросьте! Это всё сфабриковано". საინტერესოა, რაღას ფიქრობდა ურწმუნო თომა მაშინ, როცა სპორტის ოსტატობის კანდიდატებმა სულ მოკლე ხანში გაიმეორეს თავიანთი მიღწევები და საპრიზო ადგილებიც მოიპოვეს ქ. ალმა-ათაში გამართულ საკავშირო პირველობაზე.

ამასთან ერთად უთუოდ საკვირველია, როგორ ახერხებს ვ. საი საქართველოს ნაკრების საერთო ფიზიკურ მომზადებაზე საუბარს, როცა თვითონ ერთხელაც არ დასწრებია გუნდის ვარჯიშს?

კიდევ ერთი მტკნარი სიცრუე ცრუაღმსარებლის მტკიცებით, სკოლის დირექციამ უგულებელყო ფ. საიკოვსკის მეთოდიკა და ვიდეოფირიც დაკარგა. ამ ბრალდების გასაბათილებლად უნდა ითქვას, რომ ფ. საიკოვსკის სავარჯიშო მეთოდიკის მნიშვნელოვან ნაწილს (სპეციალური ვარჯიშების გარდა, რომელთაც საგანგებო ტრენაჟორები ესაჭიროება) წარმატებით იყენებს ნაკრები გუნდის ყველა მწვრთნელი. ამასთან, აღნიშნული მეთოდიკა სახელმძღვანელოდ სწორედ უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის თაოსნობით დაეგზავნა რესპუბლიკის ყველა სპორტსკოლას, ხოლო რაც შეეხება ვიდეოფირს, რომელიც ვ. საის რატომღაც დაკარგული ჰგონია, იგი დღემდე ინახება უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლაში.

თავის სტატიაში ვ. საი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, თითქოს ჩვენში უკვე დანერგილია კომპიუტერული ტესტირების საშუალებები. არც ეს შეეფერება სინამდვილეს, თუმცა უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის ხელმძღვანელობა და მწვრთნელთა საბჭო უთუოდ დაინტერესებული არიან პროფ. ს. დუშანინის მეთოდიკური სისტემით. თავის დროზე სწორედ ამ მიზნით იქნა შეძენილი კომპიუტერი, გამოიყო მუშა ჯგუფი, ხოლო საკითხის შესასწავლად კიევს წარიგზავნა ა. ივანჩენკო, რომელიც სკოლის სამეცნიერო-სტრუქტურულ დანაყოფში, სხვათა შორის, სწორედ ვ. საის ენერგიული მხარდაჭერით ჩაირიცხა. ა. ივანჩენკო ცხრა თვის მანძილზე ოცჯერ იყო მივლინებული საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში. ამრიგად, მას როდი აკლდა სკოლის დირექციის მხარდაჭერა.

თავის პასკვილში ვ. საი აღნიშნავს, რომ პროფ. ს. დუშანინის მეთოდით გამოკვლეულ იქნა 1500 სპორტსმენი. ეს რამდენადმე მოულოდნელი, მაგრამ უთუოდ სასიამოვნო განცხადებაა. კიდევ უფრო საინტერესოა, სად და ვისთან ინახება ამ გამოკვლევათა მასალები? თუ მათი არსებობა ეჭვგარეშეა, რატომ ინახავენ ცხრაკლიტულში? თუმცა, ვ. საის თქმისა არ იყოს, ჩანს, ასე მართლაც რომ „ნაკლებ სახათაბალოა".

შარშან, აპრილში, თბილისში იმყოფებოდა ჰომეოპათიის, ირიდოდიაგნოსტიკისა და აკუპუნქტურის სპეციალისტი ჟ. ბიხუნოვა (კიევი). უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის კოლექტივი ყველანაირად ეცადა სათანადო სამუშაო პირობები შეექმნა ჟ. ბიხუნოვასათვის. კიეველმა სპეციალისტმა ორიოდ დღეში შეამოწმა ნაკრები გუნდი და მისცა სათანადო დანიშნულება.

ვ. საის მტკიცების საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის დირექციამ დროულად გაუნაღდა ჟ. ბიხუნოვას ყველა სამივლინებო თანხა. თუ კიეველ სტუმარს საგრძნობლად დაუგვიანდა კუთვნილი გასამრჯელოს მიღება, ეს მოხდა ისევ ვ. საის „მოქნილი" მუშაობის გამო, ვინაიდან სწორედ მან ვერ წარმოადგინა დროზე ჟ. ბიხუნოვას შრომის ანაზღაურებისათვის აუცილებელი საბუთები.

მაგრამ ვ. საი ჩვეული გულმოდგინებით იქექება პანდორას ყუთში. იგი ცილისწამებას ცილისწამებაზე ახვავებს. თანაც [illegible] ხუჭავს თვალს საქართველოს სპორტსახკომის 1988 წლის 13 დეკემბრის № 29 ბრძანებასა და უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის საკავშირო დებულებაზე, ვინაიდან ამ დოკუმენტთა საფუძველზე [illegible] მორიგი ცილისწამების შეთითხნაში, რომელიც „50 სამუშაო საათის გასამრჯელოს" შეეხება. თითქოს აქ შეიძლებოდა სანუკვარი წერტილი დაესვა პასკვილის ავტორს, მაგრამ არა, ასე ხომ მას უთქმელი დარჩებოდა მთავარი, რითაც სამაგიეროს მიუზღავდა არა მხოლოდ სკოლის დირექციას, არამედ მთელ კოლექტივსაც, რომელთანაც ვერაფრით გამონახა საერთო ენა, თუნდაც ორდინარული ხასიათის კოლეგიალური ურთიერთობის დასამყარებლად ეშხში შესული ვ. საი საბოლოოდ ჰკარგავს ზომიერების გრძნობას და სასაცილოდ იგდებს ყველასა და ყველაფერს, ღვარძლიანად ხითხითებს სკოლის კოლექტივზე და დაუფარავი ცინიზმით იმედოვნებს, რომ მისი ნაცოდვილარი ნანატრ ეფექტს მოახდენს დაწესებულების თანამშრომელთა სულიერ მდგომარეობაზე, რომელთაც გასამრჯელოს „დაუმატებენ ნერვიული სტრესების კომპენსაციისათვის".

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მხოლოდ ამ ერთ ფრაზაში ჩანს ვ. საის ცრუაღმსარებლისა და ცილისმწამებლის, ვაი-სპეციალისტისა და წყალწაღებული გრაფომანის ადამიანური არსი, მისი ფსევდომოქალაქეობრივი სულისკვეთება.

ბოლოს და ბოლოს, ვინ მისცა ავტორს ამდენის უფლება? განა საჯაროობა და გარდაქმნა იმას ნიშნავს, რომ გამოაქვეყნოს აშკარად შეურაცხმყოფელი, თავიდან ბოლომდე სიყალბით გამსჭვალული უღღეური პასკვილი?

თითქოს დღემუდამ გვახსოვს, საქმით კი ყოველ ნაბიჯზე ვივიწყებთ დიდი ილიას ბრძნულ რჩევას: „არამც თუ უსაბუთო ძაგება, უსაბუთო ქებაც კი საწყენია მართებული კაცისათვის..."

**უმაღლესი სპორტული დაოსტატების № 3 რესპუბლიკური სკოლის კოლექტივის სახელით: ნ. ერაძე, მ. საყევარიშვილი, გ. ხოლოდი, კ. რეშეტნიაკი, კ. მინასაშვილი, ა. ბეტმანოვი, ლ. მარღანია, ვ. მაშავარიანი, ა. კლიმენკო, მ. ხარატიშვილი, ტ. ვართაპეტიანი.**

**რედაქციისაგან:** საჯაროობის პირობებში ჩვენ შესაძლებლად ჩავთვალეთ ავტორთა კოლექტივის ამ წერილის გამოქვეყნება. იყო ერთი მოსაზრება, ახლა გაჩნდა მეორე, ამასთან ვ. საის ბრალი ედება არაკომპეტენტურობაში, არაობიექტურობასა და ფაქტების გამუქებაში თუ შელამაზებაში. ვინ უნდა გაარკვიოს რომელი მხარეა მართალი? პირველყოვლისა, ცხადია, ჯერ საქმემ — გაკეთებულმა და გასაკეთებელმა. საქმით კი, რა დასამალია, მოკამათეთა ვერც ერთი მხარე ვერ მოიწონებს თავს. ჩვენში ცურვა რომ ჩამორჩება და მაქსიმუმს არ ვაკეთებთ, ეს უდავოა. ახალგაზრდებს შორის სპორტის 10-12 ოსტატი გვყოლია, სრული შემადგენლობის გუნდში კი — საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში რამდენიმე ათეული სპორტის ოსტატი უნდა იყოს. აი, რას ლაღადებს საქმე. არა, წარმატებებზე თვალს არავინ ხუჭავს, მაგრამ სპორტის ოსტატობის ნორმატივის შესრულებით ან ქვეყნის ნაკრების კანდიდატების რაოდენობით თავის მოწონება რა ბედენაა, თუ სპორტსმენის ეს შედეგები საკავშირო და საერთაშორისო მიღწევების ცხრილში სადღაც ბოლოში უფროა საძებნი, ვიდრე თავში? თ. ლეკვეიშვილისა და სხვა მოცურავეების რეკორდების გაყინვა განა საგანგაშო არ უნდა იყოს? და კიდევ: კარგა ხანია საქართველოს არც ერთი წარმომადგენელი არ მოხვედრილა ქვეყნის საუკეთესო მოცურავეთა ათეულში. ცურვის პროგრამა კი 42 აღწევს, ე. ი. საბოლოო ჯამში ქვეყნის 420 მოცურავეს შორის არ მოიძებნა ჩვენი ადგილი. აი, რამ უნდა შეგვაშფოთოს. როგორ ფიქრობთ, საქმე არაა ხელიდან წასული?

სიმართლის გარკვევაში თავისი სიტყვა უნდა თქვას აგრეთვე საქართველოს სპორტსახკომის შესაბამისმა განყოფილებამ. რედაქცია იმედს გამოთქვამს, რომ ბოლოს და ბოლოს გაიმართება საქმიანი მსჯელობა და ყველაფერი საფუძვლიანად გაირკვევა. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, სელფასიან მწვრთნელთა სოლიდური რაოდენობის ფაქტს სად წაუვალთ? ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მოვკითხოთ თითოეულ მწვრთნელს, თითოეულ სკოლას რა უკუგებას იძლევა გაწეული ხარჯების სანაცვლოდ? თურმე ფანტასტიკური თანხა გვიჯდება ერთი მაღალი კლასის მოცურავის მომზადება. მარტო ნაკრები გუნდების შეკრება-შეჯიბრებებისთვის შარშან 110525 მანეთი დაიხარჯა, წელს 188700 მანეთია დაგეგმილი. რას ვიღებთ სანაცვლოდ, არის კი წინსვლა? ეს კითხვები პასუხს ელოდება.





**საქართველოს** ფიზკულტურის ინსტიტუტის ბავშვთა და მოზარდთა ექსპერიმენტულმა სკოლამ თავისი მორიგი შეჯიბრება ჩაატარა. როგორც იცით, ეს სკოლა სწავლების ოთხწლიანი ციკლით 1987 წელს ჩამოყალიბდა და მიზნად ისახავს საერთო ფიზიკური მომზადების გზის გავლით შეარჩიონ ნორჩები სპორტის ამა თუ იმ სახეობაში სავარჯიშოდ.

თბილისის იპოდრომზე ამას წინათ გამართულ კროსში მონაწილეობდნენ როგორც სკოლის მოწაფეები, ასევე მათი მშობლები. დისტანციების სიგრძე 500 და 1000 მეტრი იყო. ეს ფოტოებიც სწორედ ამ ასპარეზობის მომენტებს ასახავს.

## მშობლებთან ერთად



## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

2 და 3 მაისს შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის IX ტურის მატჩები.

თბილისის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს დონეცკის „შახტიორი".

თამაში მოიგეს ჩვენმა დინამოელებმა — 2:1.

**სხვა მატჩები:**

„პამირი" — „ჩერნომორეცი" 1:1

„ლოკომოტივი" — „ჟალგირისი" 3:1

„სპარტაკი" — „არარატი" 1:0

„ტორპედო" — „როტორი" 2:0

„მეტალისტი" — „ზენიტი" 4:1

„დნეპრი" — „დინამო" მ 0:0

„დინამო" მნ. — „დინამო" კ. 0:1.

## დუბლიორთა მატჩი

**გუშინ** თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი თბილისის „დინამოსა" და დონეცკის „შახტიორს" შორის.

თამაში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 2:0. ბურთები გაიტანეს ყაველაშვილმა და ნემსაძემ.

თბილისელთა შემადგენლობა: ხაპოვი, თ. ყიფიანი, დიმიტრიშვილი, მაჭავარიანი, არზიანი (ლ. ყიფიანი), ნემსაძე, აფციაური (არველაძე), ჯამარაული (ყაველაშვილი), კერძევაძე, ყიზილაშვილი, ხურცილავა (ზეიკიძე).

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

### ესპანეთი

**29-ე ტური.** „ოვიედო" — „ესპანიოლი" 0:1, „მალაგა" — „ელჩე" 2:1, „კადისი" — „ვალენსია" 1:1, „ატლეტიკო" — „ოსასუნა" 4:1, „ბილბაო" — „სან სებასტიანი" 2:3, „ლოგრონიესი" — „ბეტისი" 3:1, „სელტა" — „რეალი" 2:0, „მურსია" — „სარაგოსა" 0:3, „ბარსელონა" — „ვალიადოლიდი" 0:0, „სევილია" — „ხიხონი" 1:0.

| | | |
|---|---|---|
| „რეალი" | 28 | 46 |
| „ბარსელონა" | 29 | 43 |
| „ვალენსია" | 29 | 35 |

### შვედეთი

**მე- 2 ტური.** „ერებრო" — „ბრაგე" 1:1, „სუნდსვალი" — „აიკი" 0:1, „ნორჩეპინგი" — „ჰალმსტადი" 1:1, „იურგორდენი" — „ერგრიუტე" 1:2, „გიოტებორგი" — „მალმიო" 1:1, „ფრელუნდა" — „გაისი" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ერგრიუტე" | 2 | 6-4 | 4 |
| „ნორჩეპინგი" | 2 | 5-2 | 3 |
| „გიოტებორგი" | 2 | 3-1 | 3 |

### საფრანგეთი

**33-ე ტური.** „მარსელი" — „მონაკო" 3:2, „სტრასბურგი" — „სენ ჟერმენი" 0:0, „სენტ ეტიენი" — „ოსერი" 1:1, „სოშო" — „ტულონი" 2:1, „ლანი" — „ნანტი" 0:0, „ლავალი" — „კანი" 2:0, „ნიცა" „ტულუზა" 2:0, „მონპელიე" — „ლილი" 2:3, „ბორდო" — „მეცი" 4:1

| | | |
|---|---|---|
| „მარსელი" | 33 | 63 |
| „სენ ჟერმენი" | 33 | 62 |
| „სოშო" | 33 | 59 |

### შვეიცარია

**ფინალის მე-5 ტური.** „იანგ ბოისი" — „ვეტინგენი" 1:1, „ლუცერნი" — „ქსამაქსი" 2:0, „სერვეტი" — „გრასჰოპერსი" 2:2, „სიონი" — „ბელინცონა" 1:0.

| | |
|---|---|
| „ლუცერნი" | 20 |
| „სიონი" | 20 |
| „გრასჰოპერსი" | 18 |

### პორტუგალია

**34-ე ტური.** „გიმარაეში" — „ესპინიო" 2:1, „პორტიმონენსე" — „პენაფიელი" 1:1, „ვისეუ" — „ბოავიშტა" 0:0, „ბეირა" — „ფაფე" 1:1, „მარიტიმო" — „სპორტინგი" 1:1. „ფარენსე" — „ამადორა" 2:0, „ბელენენსეში" — „სეტუბალი" 0:0, „ლეიქსოეში" — „ბრაგა" 0:0, „პორტო" — „შავიში" 1:0, „ბენფიკა" — „ნასიონალი" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" | 34 | 51-11 | 57 |
| „პორტო" | 34 | 46-14 | 51 |
| „ბოავიშტა" | 34 | 48-24 | 45 |

### ჰოლანდია

**29-ე ტური.** „ეინდჰოვენი" — „როდა" 4:2, „აიაქსი" — „ფეიენორდი" 4:1, „გრონინგენი" — „სპარტა" 2:1, „ვოლენდამი" — „ტილბურგი" 0:2, „ვენლო" — „დენ ბოში" 1:0, „ჰარლემი" — „ტვენტე" 2:1, „უტრეხტი" — „ცვოლე" 2:1, „ვალვიკი" — „სიტარდი" 3:2.

| | | |
|---|---|---|
| „ეინდჰოვენი" | 29 | 44 |
| „აიაქსი" | 29 | 43 |
| „ფეიენორდი" | 29 | 35 |

### ბელგია

**31-ე ტური.** „გენკი" — „ლიეჟი" 0:1, „ბევერენი" — „ბრიუგე" 3:2, „სტანდარდი" — „სენტ ტრუდენი" 1:0, „მოლენბეკი" — „კორტრიკი" 1:0, „სერკლი" — „ლოკერენი" 2:2, „ანტვერპენი" — „მეჰელენი" 0:2, „ლიერსი" — „ბეერსკოტი" 3:0, „რესინგი" — „შარლერუა" 2:0, „ვარეგემი" — „ანდერლეხტი" 0:1.

| | | |
|---|---|---|
| „მეჰელენი" | 31 | 52 |
| „ანდერლეხტი" | 31 | 47 |
| „ლიეჟი" | 31 | 42 |

### გდრ

**მე-20 ტური.** „კარლ-მარქს-შტადტი" — „ზაქსენრინგი" 1:0, „შტალი" — „დინამო" (ბერლინი) 1:2, „მაგდებურგი" — „ენერგია" (კოტბუსი) 2:1, „როტ ვაისი" — „კარლ ცეისი" 1:0, „უნიონი" — „ჰანზა" 1:1, „ვისმუტი" — „ჰემი" 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დინამო" (დრეზ.) | 19 | 49-20 | 31 |
| „ჰანზა" (როსტოკი) | 20 | 29-20 | 25 |
| „დინამო" (ბერლ.) | 19 | 40-24 | 24 |

(საქ. ინფ.)

## საქართველოს პირველობა

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის V და VI ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის: „დინამო" (ზუგდიდი) — „მზიური" (გალი) 1:1, „შადრევანი" (წყალტუბო) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 1:1, „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „ივერია" (ხაშური) 3:1, „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 3:0, „მადაროელი" (ჭიათურა) — „სქური" (წალენჯიხა) 2:0, „საპოვნელა" (თერჯოლა) — „დურუჯი" (ყვარელი) 1:0, „ამირანი" (ოჩამჩირე) — „სულორი" (ვანი) 2:1, „მზიური" (გალი) — „სქური" (წალენჯიხა) 1:1, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „მადაროელი" (ჭიათურა) 2:2, „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ივერია" (ხაშური) 0:0, „არმაზი" (მცხეთა) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 2:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სიონი" (ბოლნისი) 4:0, „დურუჯი" ყვარელი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 1:1, „არაგვი" (დუშეთი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 2:1, „სულორი" (ვანი) — „შადრევანი" (წყალტუბო) 1:1, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო" (გაგრა) 7:2:

## საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

# ახალი წესები

**საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა წლევანდელი ჩემპიონატი თბილისში, სპორტის სასახლეში უნდა ჩატარებულიყო, ე. ი. ისეთ პირობებში, როგორც საერთოდ ეკადრება რესპუბლიკის ჩემპიონატს. მაგრამ 9 აპრილს მომხდარი ტრაგიკული ამბების გამო იგი გორში გადაიტანეს. შეჯიბრება იქაც გამართული ორგანიზაციითა და სერიოზული შეჯიბრებისათვის დამახასიათებელი სხვა ნიშან-თვისებებით გამოირჩეოდა, თუმცა გასაგები მიზეზის გამო, ცხადია, მას ზეიმურობის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. გორის სპორტსკოლის საჭიდაო დარბაზში შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთ.**

თვით ჩემპიონატის შესახებ მოგვითხრობს შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი თავისუფალ ჭიდაობაში **ჯუმბერ დავლიანიძე:**

— ათ წელიწადზე მეტია, რაც საქართველოს ჩემპიონატებში მთავარი მსაჯი ვარ და მეც და ჩემი კოლეგებიც თითქმის არასდროს ვაწყდებით ისეთ სირთულეებს, ხელი რომ შეიძლება შეუშალოს ასპარეზობების ნორმალურ მსვლელობას. ამ ჩემპიონატზეც საკმარისად იყვნენ მსაჯები. თუმცა შეჯიბრება შეჯიბრებაა და გარკვეული პრეტენზიები ყოველთვის წამოიჭრება ხოლმე სპორტსმენთა თუ მწვრთნელთა მხრიდან, მაგრამ მთავარი ისაა, რომ საბოლოო შედეგი ყველასათვის იყოს გასაგები და მისაღები. ვფიქრობ, ასე იყო გორშიც, მით უმეტეს, რომ შეჯიბრების ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ აღიარებული ავტორიტეტები დავით ციმაკურიძე, ვახტანგ ბალავაძე, გურამ სალარაძე, დავით გობეჯიშვილი... ორთაბრძოლების ობიექტური შეფასებით დიდად იყვნენ დაინტერესებული საქართველოს სპორტსახკომის ჭიდაობის სამმართველოს უფროსი ომზარ შოშიტაშვილი და რესპუბლიკის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვლადიმერ მესტვირიშვილი. ჩემპიონატზე, კიდევ ვიმეორებ, ყველაფერს ზუსტი პასუხი გაეცა.

შეჯიბრება იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ ხალიჩაზე თითქმის ყველა ჩვენი უძლიერესი ფალავანი გამოვიდა. გორში ჩამოვიდნენ დავით გობეჯიშვილი (რომელიც ჟიურიში შეიყვანეს) და ლერი ხაბელოვი (ხაბელოვი ეტყობა შეუძლოდ გრძნობდა თავს და სამწუხაროდ, მან მეორე წრიდან ველარ იჭიდავა). დარბაზიც ყოველდღე ხალხით იყო სავსე.

შეჯიბრებაზე გამოცდილ ოსტატთა გარდა, ბევრმა ახალგაზრდა მოჭიდავემ გამოიჩინა თავი, მაგრამ მე მაინც მინდა განსაკუთრებით გამოვყო გორის (მწვრთნელი ნუგზარ სხიერელი), სოხუმის (შოთა კიკაბიძე) და ყვარლის (თამაზ კენჭოშვილი) გუნდების წევრები. საქართველოს ჩვიდმეტკაციანი ნაკრებიც, რომელიც საკავშირო ჩემპიონატის ზონალურ ეტაპზე უნდა გამოვიდეს, გორში გამართული ასპარეზობის მიხედვით დაკომპლექტდა. ეს ასპარეზობა ფრუნზეში გაიმართება, სადაც პირველ-მეხუთე ადგილებზე გასული მოჭიდავეები ქვეყნის ჩემპიონატის საგზურებს მიიღებენ. ალბათ იცით, რომ ეს საგზურები უკვე განაღდებული აქვს ჩვენს რვა ფალავანს, მათ შორის გობეჯიშვილს, ხაბელოვს, თურმანიძეს და სხვებს. გორში კი საუკეთესო ასპარეზობისთვის საგანგებო პრიზებით დაჯილდოვდნენ მასპინძელთა გუნდის წევრი ზაზა ზოზიროვი და თბილისელი მამუკა რაზმაძე.

ისევ მინდა მსაჯობის საკითხს დავუბრუნდე. ამჟამად მოქმედი მსაჯებიდან თავისუფალ ჭიდაობაში საერთაშორისო არბიტრის წოდება გვქონდა სამს—შოთა კიკაბიძეს, ანზორ გვიმრაძეს და მე. სულ ბოლო ხანს ეს კატეგორიები მიენიჭათ აგრეთვე ქალბატონ ლარისა ბერიევას და ედიშერ მაჩაიძეს. ეს ცოტაა ჩვენი რესპუბლიკისთვის, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წელიწადში რომელიმე ფილა-ს ეგიდით ჩატარებულ სულ ცოტა რვა ტურნირში არ იმსჯ[illegible] შეიყვანენ.

ამიტომ გვინდა კიდევ სამი მსაჯი, ბენდიანაშვილი, პაპაშვილი და ხუციშვილი წარვადგინოთ საერთაშორისო შეჯიბრებებში სამსაჯოდ. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი არბიტრების კვალიფიკაციის ამაღლება ხელს შეუწყობს, როგორც შეჯიბრებების, ისე საერთოდ, შეჯიბრებათა ორგანიზაციული სპორტული დონის ამაღლებას. შეგახსენებთ, რომ ამჟამად მსაჯობის წესებში შეიდი ახალი პუნქტი შეიტანეს და გორშიც ჩემპიონატი ამის ზუსტი გათვალისწინებით ჩატარდა.

### ციფრები

**48 კგ.** 1. მ. ჯაფარიძე (თბილისი), 2. ა. გაპოიანი (გორი), 3. ა. ნალიევი (თბილისი).

**52 კგ.** 1. დ. სააკიანი (სოხუმი); 2. დ. პოლოსიანი (გორი), 3. ბ. ქარდავა (სოხუმი).

**57 კგ.** 1. ზ. ტატუაშვილი (თბილისი), 2. დ. ხაიჯავა (ქუთაისი), 3. ნ. ნასყიდაშვილი (გორი).

**62 კგ.** 1. ხ. გოგიჩაიშვილი (სოხუმი), 2. ზ. ზოზიროვი (გორი), 3. ა. გეგუჩაძე (თბილისი).

**68 კგ.** 1. ხ. საბაშვილი, 2. ე. ავაზაშვილი (ორივე — გორი), 3. კ. დოლუზაშვილი (თბილისი).

**74 კგ.** 1. მ. როზომაშვილი, 2. მ. ივანიშვილი (ორივე — ყვარელი), 3. რ. პოლოსიანი (გორი).

**82 კგ.** 1. გოგოლიშვილი (ლანჩხუთი), 2. ე. ელოშვილი (თბილისი), 3. ა. გოგრიჭიანი (ონი).

**90 კგ.** 1. მ. რაზმაძე (თბილისი), 2. ა. მაისურაძე (სოხუმი), 3. ა. ჩხაიძე (ქუთაისი).

**100 კგ.** 1. ზ. ტყეშელაშვილი (ვანი), 2. ი. მუზაშვილი (გორი), 3. ვ. გულიტაშვილი (საჩხერე).

**130 კგ.** 1. ლ. ებანოიძე (თბილისი), 2. კ. ლოჩოშვილი (რუსთავი), 3. გ. ჯანელიძე (ქუთაისი).



## „აია" — კიდევ გამარჯვება!

**26-30 აპრილს** გამართული V და VI ტურების შეხვედრები ასე დამთავრდა: ეტს (კრასნოიარსკი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 54:9, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ფილი" (მოსკოვი) 3:9; სსა (მონინო) — ეტს 25:8, „სპარტაკი" — „ფილი" 3:15, „სლავა" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" 10:19, „ზვეზდა" (ტაშკენტი) — „ავიატორი" (კიევი) 18:10, „ელმავალი" (თბილისი) — „აია" (ქუთაისი) 6:6, „ელექტრომაში" (ტირასპოლი) — ასკ (ალმა-ათა) 24:12.

გუშინწინ „აიამ" ტაშკენტში სძლია იქაურ „ზვეზდას" — 28:10.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 3 მაისისათვის

| | თ. | შ. | ხ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| „აია" | 5 | 3 | 2 | 4 | 1 | 0 | 9 |
| „ფილი" | 6 | 2 | 4 | 4 | 1 | 1 | 9 |
| სსა | 4 | 2 | 2 | 4 | 0 | 0 | 8 |
| „ელექტრ." | 6 | 6 | 0 | 4 | 0 | 2 | 8 |
| ეტს | 6 | 1 | 5 | 3 | 0 | 3 | 6 |
| „ლოკომ." (მ.) | 6 | 2 | 4 | 3 | 0 | 3 | 6 |
| ასკ | 6 | 4 | 2 | 3 | 0 | 3 | 6 |
| „ზვეზდა" | 7 | 7 | 0 | 2 | 1 | 4 | 5 |
| „სლავა" | 6 | 1 | 5 | 2 | 0 | 4 | 4 |
| „ავიატორი" | 6 | 4 | 2 | 2 | 0 | 4 | 4 |
| „ელმავ." | 4 | 1 | 3 | 1 | 1 | 2 | 3 |
| „სპარტაკი" | 6 | 1 | 5 | 0 | 0 | 6 | 0 |

მორიგ ტურში, 7 მაისს, „აია" უმასპინძლებს „ელექტრომაშს", „ელმავალი" — „ზვეზდას".

## ჭაბუკებიც — ცალკე გუნდად

**საქართველოს ნაკრებებს ცალკე გუნდად საკმაოდ იშვიათად უწევთ ასპარეზობა სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში, ჭაბუკთა შეჯიბრებებში — მით უმეტეს.**

მაგრამ სწორედ ჩვენი გუნდი მიიპატიჟეს ბულგარეთის ქალაქ ეტროპოლში გამართულ ჭაბუკ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა დიდ საერთაშორისო ტურნირზე, სადაც მის გარდა იასპარეზეს გდრ-ის, ესპანეთის, უნგრეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიისა და მასპინძელთა ნაკრებებმა.

ჩვენმა ჭაბუკებმა დაამტკიცეს, რომ თვით ასეთ კომპანიაშიც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ, ისინი გუნდურ პირველობაში მხოლოდ მასპინძლებს — ბულგარელ მოჭიდავეებს ჩამორჩნენ და მეორე ადგილი დაიკავეს.

პირად პირველობაში ოთხი ქართველი ფალავანი გახდა შეჯიბრების პრიზიორი: მეორე ადგილი დაიკავა თბილისელმა გოჩა ციციშვილმა (82 კგ), მესამე—იაშა ბოკუჩავამ (54 კგ, სოფ. მახარაძე), თბილისელმა ლევან კალანდაძემ (68 კგ) და ქუთაისელმა გიორგი სალდაძემ (მძიმე წონა). ისიც აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაში წესით 18 წლამდე ასაკის სპორტსმენები გამოდიოდნენ, ჩვენი გუნდის ზოგიერთი წევრი, მაგალითად, ბოკუჩავა და სალდაძე 1973 წელს არიან დაბადებულნი.

გაცნობებთ საქართველოს სხვა სპორტსმენთა შედეგებს. V ადგილები დაიკავეს ალექსანდრე ბოლქვაძემ (56 კგ), მოსე ჭაგნელიძემ (54 კგ) და თენგიზ ლოლუამ (63 კგ, სამივე სოფელ მახარაძის მკვიდრია), სამტრედიელი ბოცვაძე VI ადგილზე გავიდა.

• • •

ადრე გაცნობეთ მოსკოვში გამართულ ჭაბუკ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ტურნირის ჩემპიონთა ვინაობა, მათ გარდა შეჯიბრების ვერცხლის პრიზიორები გახდნენ თბილისელი გელა პაპაშვილი (48 კგ) და სამტრედიელი აკაკი ჩაჩუა (62 კგ), ბრინჯაოსი — თბილისელი ჯონი ხუბაშვილი (100 კგ). საგარეჯოელმა თამაზ ყაზარაშვილმა (62 კგ) IV ადგილი დაიკავა.

## გინდავთ ქართული ჭიდაობა

**საქართველოს** კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზის გათამაშების მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან:

6 მაისს — ყვარლის რაიონის სოფელი გავაზი — ქუთაისი; კასპის რაიონის სოფელი ზემო ხანდაკი — ქარელის რაიონის სოფელი ფცა.

7 მაისს — გურჯაანის რაიონის სოფელი კაჭრეთი — გორი; თელავის რაიონის სოფელი ფშაველი — ახმეტის რაიონის სოფელი ქისტაური.

შეხვედრები (ორივე დღეს — 6 და 7 მაისს) ჩატარდება ბავშვთა კალათბურთის სასახლეში (კიროვის სახელობის პარკი) და დაიწყება 14 საათზე.

ჭაბუკ ბადმინტონისტთა საკავშირო ტურნირზე

# ქუთაისურად, მაღალ დონეზე...

ქუთაისის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტთამაშების სკოლის დარბაზში ჩატარდა მოზარდ ბადმინტონისტთა ტრადიციული საკავშირო ტურნირი საქალაქო სპორტკომიტეტისა და მოტობლოკების ქარხნის დიდ პრიზზე.

ამჯერად ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, კიევის, ბაქოს, ერევნის, ხარკოვის, ლვოვის, სვერდლოვსკის, პერმის, მოსკოვის ოლქის, თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის გუნდები.

შეჯიბრება ჩატარდა ოლიმპიური სისტემით ორ ასაკობრივ ჯგუფში — 1974-1976 და 1976-1978 წლებში დაბადებულთა შორის, სტარტზე იყო 160 მონაწილე.

უფროსი ასაკის გოგონათა შორის ყველაზე უკეთ იასპარეზა ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ფატი შალამბერიძემ, რომელმაც ფინალურ ორთაბრძოლაში ანგარიშით 2:1 დაამარცხა სვერდლოვსკელი გ. ვაგინა. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში მისმა თანაგუნდელმა ი. გიორგაძემ ასეთივე ანგარიშით დაამარცხა თბილისელი ე. მიკირტიჩიანი.

წყვილთა თანრიგის ფინალში ფ. შალამბერიძისა და ი. გიორგაძის დუეტმა სძლია გ. ვაგინა-ე. მიკირტიჩიანის წყვილს.

შერეულ წყვილთა შორის საპრიზო ადგილები შემდეგი თანმიმდევრობით განაწილდა. 1. გ. ვაგინა-ა. უმარიანი (სვერდლოვსკი, თბილისი). 2. ფ. შალამბერიძე-ბ. სირუნიანი (ქუთაისი, თბილისი), 3. ე. მიკირტიჩიანი-ვ. სარქისიანი (თბილისი).

უფროსი ასაკის ვაჟთა წყვილებში თბილისელმა ბადმინტონისტებმა ბ. სირუნიანმა და ა. უმარიანმა იმარჯვეს. მეორე ადგილზე ი. ბერედნიჩენკო და ი. ლიტვინენკო (კიევი), ხოლო მესამეზე — ა. ელისეევი და რ. ფლორინსკი (ხარკოვი) გავიდნენ.

არანაკლებ საინტერესოდ წარიმართა უმცროსი ასაკის ბადმინტონისტთა შეჯიბრებაც.

აქ გოგონათა შორის თბილისელმა გ. ჩეხოიანმა ფინალში დაამარცხა მასპინძელთა გუნდის წევრი ი. ხურციძე და პირველი ადგილი დაიკავა, მესამე ადგილზე მოსკოველი ირმა კვაჰანტირაძე გავიდა, ვაჟთა შორის აშკარა იყო სტუმართა უპირატესობა და სამივე საპრიზო ადგილი მათ მოიპოვეს: 1. ვ. სუხაჩოვი (ქ. ჟუკოვსკი), 2. დ. კისილიოვი, 3. ვ. იცკოვი (ორივე — მოსკოვი).

გოგონათა წყვილებში კი მასპინძლებმა დამაჯერებელი რევანში აიღეს, ფინალური შეხვედრა ქუთაისური გამოდგა, ქანა კოხრეიძემ და ნანა ლვინჯილიამ თანაგუნდელები ინგა ხურციძე და სოფიკო სოფრომაძე დაამარცხეს.

წყვილთა თანრიგებში საპრიზო ადგილებზე არიან:

ვაჟთა წყვილები: 1. ა. ოვანესიანი-დ. კისილიოვი (მოსკოვი, ბათუმი), 2 ა. კარაკოზოვი-ა. ვასილიევი (ჟუკოვსკი, თბილისი), 3. ვ. იცკოვი-ვ. სტეპანოვი (მოსკოვი).

შერეული წყვილები: 1. ა. კარაკოზოვი-გ. ჩახოიანი (თბილისი), 2. გ. ოვანესიანი-ა. ტკაჩოვა (ბათუმი), 3.. ვ. იცკოვი-ა. რიჟენკო (მოსკოვი).

ქუთაისის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ოთარ აბზიანიძემ თქვა, — შეჯიბრება საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარდა, გუნდებში არაერთი ნიჭიერი სპორტსმენი გამოვლინდა, როგორც ვხედავთ, ჩვენი ქალაქიდან პრიზიორთა შორის უმთავრესად გოგონები არიან. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ გვყავდეს პერსპექტიული ჭაბუკები. ვიმედოვნებთ, ახლო მომავალში ისინიც იტყვიან თავიანთ სიტყვას.

მონაწილეებს ასპარეზობის და დასვენების შესანიშნავი პირობები შეუქმნა საშეფო ორგანიზაციის — მოტობლოკების ქარხნის (დირექტორი ა. ნაცვლიშვილი, ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორი მ. ხვისტანი) კოლექტივმა, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს ქუთაისში ბადმინტონის განვითარების საქმეს.

**თამაზ ხარაბაძე,**
**(„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი)**

ქუთაისი.

# შოთა ლომინაძე

გარდაიცვალა აფხაზეთის ასსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ვეტერანი შოთა იორდანის ძე ლომინაძე.

შ. ლომინაძე დაიბადა 1921 წელს, დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის, აგრეთვე ფიზკულტურის ფაკულტეტი. შემდეგ მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა საშუალო სკოლებში პედაგოგად. მისი, როგორც სპორტული ორგანიზატორის ნიჭი ნათლად გამოჩნდა სპორტსაზოგადოებების „ისკრას“, „ბურევესტნიკის“, „განთიადის“ აფხაზეთის საბჭოებში მუშაობის დროს. ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა სხვადასხვა თანამდებობებზე „დინამოს“ აფხაზეთის საბჭოსა და ავტონომიური რესპუბლიკის სპორტკომიტეტში.

შ. ლომინაძემ ადრე თავი გამოიჩინა როგორც შესანიშნავმა სპორტსმენმა, 40-იანი და 50-იანი წლების დასაწყისში წარმატებით გამოდიოდა სოხუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდში, მრავალი წლის განმავლობაში იყო მისი კაპიტანი, ამ გუნდის შემადგენლობაში მოიპოვა საქართველოს თასი და ჩემპიონობა.

შ. ლომინაძეს ნაყოფიერი მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა მედლები და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელები.

გულისხმიერი პედაგოგისა და შესანიშნავი სპორტსმენის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება იმათ შორის, ვინც ამ შესანიშნავ პიროვნებას ახლოს იცნობდა.

**აფხაზეთის ასსრ სპორტსახკომი. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების აფხაზეთის საოლქო საბჭო.**

# სპორტული მაისი

**4-5. სამბო.** საქართველოს ახალგაზრდული პირველობა 1968 და მომდევნო წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. **საგარეჯო.**

**4-7. სპორტული ტანვარჯიში.** საქართველოს ჩემპიონატი მრავალჭიდში. **ბათუმი.**

**4-8. მშვილდოსნობა.** საქართველოს თასის გათამაშება. **ზუგდიდი.**

**4-9. კრივი.** საბჭოთა კავშირის გმირის ქ. ლესელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია ტურნირი. **თბილისი.**

**5-6. მძლეოსნობა.** საქართველოს პირველობა სპორტსკოლებს შორის. **თბილისი.**

**5-14. ჭადრაკი.** რესპუბლიკური შეჯიბრება „თეთრი ეტლი“ 1975 და მომდევნო წლებში დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. **ტყიბული.**

**6-7. აკადემიური ნიჩბოსნობა.** საქართველოს პირველობა 1971-73 წლებში დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. **ფოთი.**

**9-12. სინქრონული ცურვა.** საქართველოს ჩემპიონატი. **თბილისი.**

**9-13. მხატვრული ტანვარჯიში.** საქართველოს ღია პირველობა მრავალჭიდსა და ცალკეულ სახეობებში. **ბათუმი.**

**11-12. ათლეტიზმი.** საქართველოს თასის გათამაშება ქალთა და ვაჟთა შორის. ძალისმიერი სამჭიდი. **თბილისი.**

**11-14. ცხენოსნობა.** საქართველოს პირველობა 1971 და მომდევნო წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ოჩამჩირე.**

**12-14. მშდ მრავალჭიდი.** საქართველოს ჩემპიონატი რესპუბლიკის სპორტსახკომის პრიზზე. ფინალი. **ჭიათურა.**

**13-14. წყალსათხილამურო სპორტი.** საქართველოს ღია პირველობა. **ფოთი.**

**14. მძლეოსნობა.** საკავშირო შეჯიბრება ხტომებში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვ. სანეევის პრიზზე. **სოხუმი.**

**14. მძლეოსნობა.** საბჭოთა კავშირის გმირის ქ. ლესელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო შეჯიბრება ტყორცნებში. **ლესელიძე.**

**14-20. აფროსნობა.** საქართველოს პირველობა 1968 და მომდევნო წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. **ფოთი.**

**16-21. ფრენბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი ვაჟთა გუნდებს შორის. წინასწარი შეხვედრები. **სოხუმი.**

**16-22. მშვილდოსნობა.** საერთაშორისო შეჯიბრება „გაზაფხულის ისრები“. **სოხუმი.**

**17-18. საზღვაო ნიჩბოსნობა.** საქართველოს ჩემპიონატი. **ფოთი.**

**18-21. ბადმინტონი.** საქართველოს პირველობა 1973 და მომდევნო წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **თბილისი.**

**19-21. ტრეკზე ველორბოლა.** საერთაშორისო შეჯიბრება „საქართველოს ტელევიზიის დიდ პრიზზე“. **თბილისი.**

**21-25. ცურვა.** საქართველოს ჩემპიონატი და პირველობა მოზრდილთა და 1971 წელს დაბადებულ ვაჟთა და 1973 წელს დაბადებულ გოგონათა შორის. **ქუთაისი.**

**24-28. წყალბურთი.** XII საერთაშორისო ტურნირი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზებზე. **თბილისი.**

**25-29. ჩოგბურთი.** საქართველოს პირველობა 1974-76 წლებში დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. **თელავი.**

**28-29. მძლეოსნობა.** საკავშირო პირველობა გაზეთ „პრავდის“ პრიზზე. **თბილისი.**

**28-30. თავისუფალი ჭიდაობა.** საქართველოს პირველობა 1969-71 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ონი.**

**30. V — 4.VI. კრივი.** საქართველოს პირველობა 1968 და მომდევნო წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. **გორი.**

**31. V — 2.VI. ძალოსნობა და სიმძიმეების აწევა.** საქართველოს პირველობა 1967 და მომდევნო წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ზუგდიდი.**

# „პლეი-ოფის“ სერიის წინ

კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა-ს) ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შედის. ერთ-ერთი ბოლო ტური იმით იყო ღირსშესანიშნავი, რომ გამოვლინდა „პლეი-ოფის“ სერიის მონაწილე თექვსმეტი გუნდი. გაგაცნობთ ამ ტურის შედეგებს: ბოსტონი-კლივლენდი — 113:104, ნიუ-იორკი-დეტროიტი — 104:100, ნიუ-ჯერსი-ჩიკაგო — 123:111, ფილადელფია-ჩარლოტე — 115:119, სან-ანტონიო-დალასი —110:118, იუტა-ჰიუსტონი — 122:96, პორტლენდი-მაიამი — 97:86, ატლანტა-მილუოკი — 125:100, ინდიანა-ჩარლოტე — 115:105, ფენიქსი-სან-ანტონიო — 137:91, „ლოს-ანჯელეს კლიპერსი“-„ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ — 119:107, გოულდენ სტეიტი-საკრამენტო — 100:114, პორტლენდი-იუტა — 95:99, სიეტლი-დენვერი — 125:92, ფილადელფია-ნიუ-იორკი — 115:112, კლივლენდი-ჩიკაგო — 111:92, დალასი-ჰიუსტონი —112:114.

ტურის ყველაზე დიდი სენსაცია გახლავთ ნბა-ს ჩემპიონის— „ლეიკერსის“ მარცხი თანაქალაქელებთან „ლოს-ანჯელეს კლიპერსთან“ და ფილადელფიას წაგება საკუთარ მოედანზე კიდევ ერთ აუტსაიდერთან შარლოტესთან. „კლიპერსის“ გამარჯვება დიდად განაპირობა ჩარლი სმითის (26 ქულა) და ნევ ნორმანის (24) კარგმა თამაშმა. ალბათ, მოულოდნელი იყო დენვერის გამანადგურებელი დამარცხება სიეტლში. ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი იყო ნიუ-იორკისა და დეტროიტის შეხვედრა. ძალზე ძნელი გამარჯვება მოიპოვა ატლანტის დივიზიონის ლიდერმა ნიუ-იორკმა, რაც, როგორც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი“ აღნიშნავს, მათი ლიდერის პატ იუვინგის (32 ქულა, 15 სწრაფი დაფარება) ჩინებული თამაშით აიხსნება. ოროდე სიტყვა „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ და „ჩიკაგო ბულსის“ შეხვედრაზე, რომელიც ცენტრალურმა ტელევიზიამ უჩვენა. „ლეიკერსის“ დამარცხება საკუთარ მოედანზე, რა თქმა უნდა, იოლი საქმე როდია. სტუმრების წარმატებას დიდად შეუწყო ხელი მათი მწვრთნელის ლუგ კოლინზის ტაქტიკურმა სვლამ. ჩიკაგოს ძირითადი ბომბარდირი, სახელგანთქმული მაიკლ ჯორდანი (203), ახალ ამპლუაში მოგვევლინა. მწვრთნელის დავალებით მან გამთამაშებლის ფუნქცია იკისრა. შეიძლება ითქვას, რომ ჯორდანი ამ როლში ურიგოდ არ გამოიყურებოდა. მის ანგარიშზე იყო 24 ქულა და 15 საგოლე გადაცემა. მან ამ მატჩში საგოლე გადაცემების მხრივ თვით სახელგანთქმულ „მეჯიკ“ ჯონსონსაც არ დაუდო ტოლი. დრამატულ ბრძოლაში 104:103 გაიმარჯვა „ჩიკაგო ბულსმა“. უკანასკნელ წამებზე 42 წლის ვეტერანის ქერიმ აბდულ ჯაბარის სროლა ასცდა მიზანს.

„პლეი-ოფის“ სერიაში ითამაშებენ შემდეგი გუნდები: „დეტროიტ პისტონსი“, „კლივლენდ კავალიერსი“, „ატლანტა ჰოუქსი“, „მილუოკი ბაქსი“, „ჩიკაგო ბულსი“ — ცენტრალური დივიზიონიდან; „ნიუ-იორკ ნიკერბოკერსი“, „ფილადელფია 76“, „ბოსტონ სელტიქსი“ — ატლანტის ოკეანის დივიზიონიდან; „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“, „ფენიქს სანზი“, „სიეტლ სუპერსონიქსი“, „გოულდენ სტეიტ უორიორზი“, „პორტლენდ თრეილ ბლეიზი“ — წყნარი ოკეანის დივიზიონი; „იუტა ჯაზი“, „დენვერ ნაგითზი“, „ჰიუსტონ როკეტსი“ — შუა დასავლეთის დივიზიონი: „პლეი-ოფის“ სერიის მიღმა დარჩა ისეთი ძლიერი კლუბი, როგორიცაა „დალას მავერიქსი“. მერვედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: დეტროიტი-ბოსტონი, ატლანტა-მილუოკი, ნიუ-იორკ-ფილადელფია, კლივლენდი-ჩიკაგო, ლეიკერსი-პორტლენდი, სიეტლი-ჰიუსტონი, იუტა-გოლდენ სტეიტი, ფენიქსი-დენვერი.

**მერაბ კალანდაძე.**

„სპორტპროგნოზი“

მე-18 ტირაჟის შედეგები
(29.IV-2.V)

1—1, 2—1, 3—1, 4—1, 5—X, 6—2, 7—X, 9—X, 9—2, 10—2, 11—X, 12—1, 13—1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

**რედაქტორი**
**თ. ბაჩიჩილაძე.**

# საუკეთესონი

**სტოკჰოლმი.** დამთავრდა ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. გთავაზობთ ბოლო ტურის შეხვედრათა შედეგებს და გათამაშების საბოლოო ცხრილებს.

**I-IV ადგილები.** კანადა-ჩეხოსლოვაკია 4:3 (2:0, 2:3, 0:0), სსრ კავშირი—შვეცია 5:1 (2:0, 1:1, 2:0).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | 3 | 0 | 0 | 11-4 | 6 |
| კანადა | 3 | 2 | 0 | 1 | 12-11 | 4 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 2 |
| შვეცია | 3 | 0 | 0 | 3 | 5-12 | 0 |

**V-VIII ადგილები.** აშშ-ფინეთი 2:6 (2:0, 0:3, 0:3), გფრ-პოლონეთი 2:0 (0:0, 1:0, 1:0).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 10 | 5 | 1 | 4 | 35-27 | 11 |
| აშშ | 10 | 4 | 1 | 5 | 37-40 | 9 |
| გფრ | 10 | 1 | 2 | 7 | 22-41 | 4 |
| პოლონეთი | 10 | 1 | 0 | 9 | 12-76 | 2 |

ტურნირის საუკეთესო მოთამაშეები: მეკარე — დ. გაშეკი (ჩეხოსლოვაკია), მცველი — ვ. ფეტისოვი (სსრ კავშირი), თავდამსხმელი — ბ. ბელოუზი (კანადა). ეს უკანასკნელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა — 14 ქულა (რვა პლუს რვა), ჩემპიონატის მონაწილეთაგან შედგა მსოფლიო სიმბოლური ნაკრები, რომელშიც შევიდნენ: დ. გაშეკი (ჩეხოსლოვაკია), ვ. ფეტისოვი (სსრ კავშირი), ა. ელდნბრიკი (შვეცია), ს. მაკაროვი, ვ. ბიკოვი (ორივე — სსრ კავშირი) და ს. აიზერმანი (კანადა).

**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი**
**(ა. წერეთლის გამზირი №2)**
**7 მაისს**
**ფეხბურთი**
საფეხბურთო კავშირის თასზე
**„დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი)**
**დასაწყისი 18.00 საათზე**
მატჩზე დასასწრები ფეხბურთის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 6 და 7 მაისს, დილის 10 საათიდან, საღამოს 19 საათამდე (შესვენება 14 საათიდან 15 საათამდე).

„სპორტპროგნოზი“
მე-20 ტირაჟის პროგრამა
(13-15 მაისი)

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)

13 მაისი
1. „დინამო“ (მოსკოვი) — „პამირი“ (დუშანბე)

14 მაისი
2. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)
3. „დინამო“ (მინსკი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი)
4. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი)
5. „შახტიორი“ (დონეცკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)
6. „არარატი“ (ერევანი) —„დინამო“ (თბილისი)

15 მაისი.
7. „დინამო“ (კიევი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)

15 მაისი
8. „ნეფთჩი“ (ბაქო)— ასკ (როსტოვი)
9. „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი)
10. „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი)
11. „კაირატი“ (ალმა-ათა) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი)
12. „გურია“ (ლანჩხუთი) — ცსკა
13. „როსტსელმაში“ (როსტოვი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი)

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„შერაზი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10437